ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.09.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 013/23

შეკითხვა:

რამდენი ხნის განმავლობაში ევალება ადვოკატს დასრულებული საქმის დოკუმენტაციის შენახვა?

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე, შესაძლებელია უფლებამოსილმა პირმა, ადვოკატის მხრიდან პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტზე იდავოს, სადავო ფაქტის განხორციელებიდან 5 წლის განმავლობაში.

ადვოკატის მიმართ არ აღიძრება დისციპლინური საქმის წარმოება, თუ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თარიღიდან ეთიკის კომისიისთვის მიმართვის დღემდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. („ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 2.3)

ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოება შეწყდება, თუ მის მიერ სადავო ქმედების ჩადენიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისთვის მიმართვამდე გასულია 5 წელი („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

შესაბამისად, დისციპლინური საქმის წარმოების მიზნებისთვის, ადვოკატმა, მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებისგან თავდასაცავად მიზანშეწონილია რაიმე ფორმით 5 წლის განმავლობაში შეინახოს ის დოკუმენტაცია, რომელიც მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს დაადასტურებს და დაეხმარება მას წაყენებული პრეტენზიისგან თავდასაცავად. რაც შეეხება კლიენტის მიერ გადაცემულ დოკუმენტებს, თუ საქმის წარმოებისას მოპოვებულ, კლიენტის კუთვნილ დოკუმენტაციას, ადვოკატს შეუძლია ისინი გადასცეს კლიენტს, ხოლო თავად, მითითებული დროის შესაბამისად რაიმე ფორმით შეინახოს, გადაცემულ დოკუმენტაციათა მიღება-ჩაბარების აქტი.

დასკვნა:

დისციპლინური წარმოებაში ბრალდებისგან თავდასაცავად, სასურველია ადვოკატმა, სადავო ფაქტის განხორციელებიდან 5 წლის განმავლობაში, რაიმე ფორმით შეინახოს ის დოკუმენტაცია,

რომელიც მისგან განხორციელებული ქმედებების დადასტურებაში დაეხმარება. რაც შეეხება კლიენტის კუთვნილ დოკუმენტებს, ადვოკატს შეუძლია თითოეული მათგანი დაუბრუნოს კლიენტს, ხოლო თავად, მითითებული დროის შესაბამისად, შეინახოს მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.